ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 9 ოქტომბრის სხდომის

ოქმი N 12

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018 წლის 9 ოქტომბერს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 25.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

<u>დღის წესრიგი:</u>

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.ალანიას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის შესახებ
3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაში წარდგენის შესახებ
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ.ალანიას დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ქალბატონმა მაგდამ განცხადებით მიმართა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ (იხ. დანართი 1). ბატონმა რამაზმა მადლიერებით ისაუბრა ქალბატონ მაგდასთან თანამშრომლობის პერიოდზე და მადლობა გადაუხადა მას გაწეული მუშაობისთვის. შემდეგ ბატონმა რამაზმა სიტყვა გადასცა ქალბატონ მ.ალანიას. მან აღნიშნა, რომ თავდაუზოგავი მუშაობა გასწია თსუ-ს ავტორიზაციისათვის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში. ახლა, როცა თსუ-მ უპირობო ავტორიზაცია მიიღო, ვალმოხდილად თვლის თავს, შეუძლია დატოვოს თანამდებობა და მიუბრუნდეს სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობას.

საბჭოს წევრებმა ტაშით დააჯილდოვეს ქალბატონი მაგდა ალანია.

აზრი გამოთქვა: პროფესორმა თ.ლეჟავამ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. ალანიას პირადი განცხადების დაკმაყოფილების საკითხი მისი დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი მ.ალანია პირადი განცხადების საფუძველზე.

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შესთავაზა წარმოედგინათ თავიანთი კანდიდატურა ამ ვაკანსიაზე. შემდეგ კი საბჭოს წევრებს წარუდგინა ასოცირებული პროფესორის თამარ ჭელიძის კანდიდატურა, რომელიც ბოლო წლებში წარმატებით მუშაობდა ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. საბჭოს წევრების მხრიდან სხვა კანდიდატურა არ ყოფილა წარმოდგენილი.

კენჭისყრის შედეგები: ქალბატონი თამარი აირჩიეს ერთხმად - მომხრე 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსად არჩეულ იქნეს ასოცირებული პროფესორი თამარ ჭელიძე.

3. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე საკითხი - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაში წარდგენის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის საბჭოს განცხადებით მიმართეს

ა) პროფესორმა ა. შენგელაიამ და

ბ) მეცნიერებათა აკადევიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა დ.ლორთქიფანიძემ

შუამდგომლობის გაწევის თხოვნით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრებად წარდგენასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროფესორების სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ ყველა მასალა წინასწარ იყო დაგზავნილი ფაკულტეტის საბჭოს წევრებთან.

ა) საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა მოკლედ ისაუბრა პროფესორ ა.შენგელაიას შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროფესორი ა.შნგელაია გამოირჩევა ძალიან ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობით, აქვს 90 ნაშრომი მაღალრეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში და დარგის აღიარებული სპეციალისტია.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა თ.ლეჟავამ, რ.გახოკიძემ, ნ.შათაშვილმა. მათ დაახასიათეს ბატონი ალექსანდრე, როგორც საუკეთესო კანდიდატი და აღნიშნეს, რომ სიამოვნებით დაუჭერენ მხარს შუამდგომლობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად მისი წარდგენის შესახებ.

ბ) საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა მოკლედ დაახასიათა მეცნიერებათა აკადევიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი დ.ლორთქიფანიძე და სიტყვა გადასცა პროფესორ ბ.თუთბერიძეს. ბატონმა ბეჟანმა აღნიშნა, რომ იგი 1996

წლიდან იცნობს ბატონ დავითს, აქვთ საერთო ნაშრომები პალეონტოლოგიის მიმართულებით, მისი ციტირების ინდექსი 5000-ს აღწევს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, თ.ლეჟავამ, ა. შენგელაიამ, ლ.მაჭავარიანმა. ბატონმა ალექსანდრემ ისაუბრა დ.ლორთქიფანიძის საერთაშორისო ავტორიტეტისა და აღიარების შესახებ. ქალბატონმა ლიამ დაახასიათა დ.ლორთქიფანიძე, როგორც დიდი მეცნიერი და მეცნიერების ორგანიზატორი ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

ა) ა. შენგელაია - მომხრე 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0;
ბ) დ.ლორთქიფანიძე - მომხრე 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

1. ა) ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობა გაუწიოს პროფესორ ა.შენგელაიას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად წარდგენასთან დაკავშირებით.
2. ა) ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობა გაუწიოს მეცნიერებათა აკადეკიის წევრ-კორესპონდენტს, პროფესორ დ.ლორთქიფანიძეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად წარდგენასთან დაკავშირებით.

4. მიმდინარე საკითხები:

ა) მუდმივმოქმედი დარგობრივი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების დამტკიცების შესახებ. ფაკულტეტის დეპარტამენტების (იხ. დანართი - სხდომების ოქმები). ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო მათი გვარები დეპარტამენტების მიხედვით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეებისა და მდივნების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 25, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დეპარტამენტების მუდმივმოქმედი სადისერტაციო კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები:

1. მათემატიკის დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი თამაზ თადუმაძე, მდივანი - ასოცირებული პროფესორი ოთარ ჯოხაძე;
2. ფიზიკის დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი ნანა შათაშვილი, მდივანი - ასოცირებული პროფესორი გიორგი ციციშვილი;
3. ქიმიის დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი შოთა სამსონია, მდივანი - ასოცირებული პროფესორი მარინა რუხაძე;
4. ბიოლოგიის დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი დიანა ძიძიგური, მდივანი - ასოცირებული პროფესორი მარიამ გაიდამაშვილი;
5. კომპიუტერული მეცნიერების დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი გია სირბილაძე, მდივანი - ასოცირებული პროფესორი ირინა ხუციშვილი;

6. გეოგრაფიის დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი დავით კერესელიძე, მდივანი - ასოცირებული პროფესორი გიორგი მელაძე;
7. გეოლოგიის დეპარტამენტი: თავმჯდომარე - პროფესორი ბეჟან თუთბერიძე, მდივანი - ასოცირებული პროფესორი კარლო აქიმიძე;

ბ) ფაკულტეტის დეკანმა, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო სასიამოვნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სან-დიეგოს უნივერსიტეტი-საქართველოს მიერ მიღებულ იქნა ჩვენი წინადადება, უახლოეს მომავალში შევა შესწორება კონტრაქტში და მათ მიერ გადმორიცხული თანხების განკარგვა უკვე შესაძლებელი იქნება ფაკულტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. ამ მიზნით თანხების განაწილება მოხდება მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით.

გ) საბჭოს თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა ლაბორანტების პრობლემების შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი იქნება მათი სამსახურში სიარულის გრაფიკზე პასუხისმგებლობა ლაბორატორიების ხელმძღვანელებმა ან/და კათედრის გამგეებმა აიღონ.

ბატონმა რამაზ ხომერიკმა ასევე ისაუბრა თსუ მეორე კორპუსში მეცადინეობების განახლების შესაძლებლობაზე და აღნიშნა, რომ თუ გათბობის სისტემა გამართულად იმუშავებს, ოქტომბრის ბოლოდან შესაძლებელი იქნება მეორე კორპუსში გადასვლა და მეცადინეობების იქ გაგრძელება. ამჟამად მეცადინეობები თსუ XI კორპუსში მიმდინარეობს.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი